




ავტორები: დავით კუშელავა, იაროსლავა ბაბიჩი

მსოფლიოში ნავთობისა და სურსათის ფასების შემცირების შედეგად, მცირდება ინფლაციის მაჩვენებელი საქართველოში, თუმცა მიგრაციით განპირობებული შიდა წნეხი ფასებზე კვლავ დიდ პრობლემას წარმოადგენს

გრაფიკი 1 - საქართველო, რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი (წ.წ.)



ISSET-ის კვლევითმა ინსტიტუტმა 2023 წლის პირველი და მეორე კვარტლების მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) რეალური ზრდის პროგნოზი განაახლა. ქვემოთ მოცემულია ამ თვის განახლების ძირითადი მიგნებები.

**ძირითადი მიგნებები:**

- საქსტატის ანგარიშის “ეკონომიკური ზრდის ტენდენციების წინასწარი შეფასება, ეკონომიკური სტატისტიკის მაჩვენებლები” თანახმად, **2022 წლის მე-4 კვარტალში რეალური მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი 9.5%-ს შეადგენდა, ხოლო 2022 წლის რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი 10.1% იყო.**
- მშპ-ის პროგნოზის თებერვლის განახლების მიხედვით, **2023 წლის პირველი კვარტლის ზრდის პროგნოზი იანვარში არსებული 3.9%-დან 2.7%-მდე შემცირდა.** ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტის პირველი პროგნოზის თანახმად, **2023 წლის მეორე კვარტალში მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი 1.6%-ს შეადგენს.**
- დეკემბრის მონაცემებზე დაყრდნობით, 2023 წელს, პესიმისტური სცენარის განვითარების შემთხვევაში, მოსალოდნელია წლიური **2%-იანი ზრდა**, ხოლო საუკეთესო ან საშუალო,



გრძელვადიანი ზრდის სცენარის შემთხვევაში – 3%-იანი ზრდა. ჩვენი შუალედური პროგნოზის თანახმად (უკანასკნელი ოთხი კვარტლის საშუალო ზრდის მაჩვენებელზე დაყრდნობით), რეალური მშპ 2.4%-ით გაიზრდება.

- სავარაუდოდ, აღნიშნული საპროგნოზო მაჩვენებლები გადაჭარბებით პესიმისტურად აფასებს რეალობას. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ საქართველოს მონაცემებში არ მოიძებნება მიგრანტების მიმდინარე მასშტაბური შემოდინების ანალოგი.

**მშპ-ის ზრდის პროგნოზის განმაპირობებელი ფაქტორები:**

**დეპოზიტები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.** ცვლადების პირველი ჯგუფი, რომელმაც გარკვეული გავლენა იქონია ჩვენს პროგნოზზე, კომერციულ ბანკებში არსებული ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების მოცულობა იყო. ეროვნულ ვალუტაში არსებული ყველა კატეგორიის დეპოზიტის ღირებულება გაიზარდა წლიურ ჭრილში, ხოლო ზოგიერთი მათგანი (მაგ. ვადიანი დეპოზიტები და დეპოზიტები 3 თვეზე ნაკლები ვადით) დეკემბერში შემცირდა წინა თვესთან შედარებით. წლიური 58.1%-ით გაიზარდა მოთხოვნამდე დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში, ხოლო ვადიანი დეპოზიტების წლიურმა ზრდის ტემპმა 33.5% შეადგინა. შესაბამისად, ეროვნულ ვალუტაში არსებული დეპოზიტები ჯამურად წლიური 31.9%-ით გაიზარდა. იმავე პერიოდში მოთხოვნამდე დეპოზიტები 23.4%-ით გაიზარდა, მიმოქცევაში არსებული ვალუტა კი – 2.2%-ით. ეროვნულ ვალუტაში არსებულ დეპოზიტებთან დაკავშირებულ ცვლადებს პოზიტიური გავლენა ჰქონდა მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზებზე.

ეროვნულ ვალუტაში არსებული დეპოზიტებისგან განსხვავებით, უცხოურ ვალუტაში არსებული დეპოზიტების ზრდის მაჩვენებელი, წინა წლის იმავე თვესთან შედარებით, ნაკლები ტემპით, 13.9%-ით გაიზარდა. დროის იმავე მონაკვეთში უცხოურ ვალუტაში მიმდინარე ანგარიშები და მოთხოვნამდე დეპოზიტები წლიური 10%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში არსებული ვადიანი დეპოზიტები წლიური 12%-ით შემცირდა. უცხოურ ვალუტაში არსებული დეპოზიტების წლიური ზრდის მაჩვენებლის შემცირება ნაწილობრივ ეროვნული ვალუტის გამყარებით იყო განპირობებული. დეპოზიტების დოლარიზაცია 0.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა თვითონ და 3.8 პროცენტული პუნქტით შემცირდა წლიურად. ჩვენს მოდელზე დაყრდნობით, პოზიტიური წლიური ტენდენციების მიუხედავად, უცხოურ ვალუტაში არსებულ დეპოზიტებთან დაკავშირებულმა ცვლადებმა მცირე უარყოფითი წვლილი შეიტანა მშპ-ის ზრდის მაჩვენებელში.

**ფულის მასა.** დეკემბერში, წლიურ ჭრილში მნიშვნელოვნად გაიზარდა ფულის მასის ყველა აგრეგატი, მათ შორის ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული (M0) და ფართო ფული (M3). ფულის მასის M2 და M3 აგრეგატებმა, შესაბამისად, 22.9%-იანი და 11.4%-იანი წლიური ზრდა განიცადა. ამასთანავე, მიმოქცევაში არსებული ვალუტა შედარებით ზომიერად, წლიური 9.8%-ით გაიზარდა. ბანკებს გარეთ არსებულმა ნაღდმა ფულმაც (M0) წლიური 9.8%-ით მოიმატა. საერთო ჯამში, ჩვენს მოდელზე დაყრდნობით, ფულის მასასთან დაკავშირებულმა ცვლადებმა მცირედი დადებითი წვლილი შეიტანეს 2023 წლის პირველი და მეორე კვარტლების მშპ-ის რეალურ ზრდაში




საქონლით ვაჭრობა. დეკემბერში საქართველოს ექსპორტი წლიური **32.5%-ით** გაიზარდა. ეს, ძირითადად, განპირობებული იყო ავტომობილების (262.1%-ით ზრდა, რაც 24.3 პროცენტულ პუნქტს უტოლდება), სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების (39.8%-ით, 6.2 პროცენტულ პუნქტს შეადგენს), მინერალური ან ქიმიური სასუქების (აზოტიანი) (47.9%-ით ზრდა, რაც 2.5 პროცენტულ პუნქტს უტოლდება), ათი ან მეტი ადამიანის ტრანსპორტირებისთვის განკუთვნილი ავტომობილების (6303.3%-ით, 2 პროცენტულ პუნქტს შეადგენს), სიგარეტის, მანილური სიგარეტის, სიგარილოების და სიგარეტების (235.7%-ით ზრდა, რაც 1.9 პროცენტულ პუნქტს შეადგენს), მონაცემთა ავტომატური დამუშავების მანქანების და მათი ერთეულების (829.3%-ით ზრდა, რაც 1.3 პროცენტულ პუნქტს შეადგენს) და ცოცხალი მსხვილფეხა რქოსანი ცხოველების (104.7%-ით ზრდა, რაც 1 პროცენტულ პუნქტს შეადგენს) გაზრდილი ექსპორტით/რეექსპორტით. ამის საპირისპიროდ, წლიური ვარდნა განიცადა ფეროშენადნობების (92.1%-ით კლება, რაც -13.8 პროცენტულ პუნქტს უტოლდება<sup>1</sup>), გამომშრალი და ცოცხალი ციტრუსების (39.6%-ით კლება, რაც -1.5 პროცენტულ პუნქტს უტოლდება), ფერადი ლითონების ჯართის, გადამდნარი რკინის ან ფოლადის სხმულების (99.3%-ით კლება, რაც -1.3 პროცენტულ პუნქტს უტოლდება) ექსპორტმა. აღსანიშნავია, რომ ექსპორტის მოცულობა (რეალური ექსპორტი) საგრძნობლად, წლიური 39.1%-ით გაიზარდა.

ამ პერიოდის განმავლობაში საქონლის იმპორტი **33%-ით** გაიზარდა, რაც უმეტესად ავტომობილების, სატელეფონო მოწყობილობების, საწვავისა და ნავთობპროდუქტების იმპორტმა/რეიმპორტმა განაპირობა. ამის საპირისპიროდ, შემცირდა სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების (რეექსპორტისთვის განკუთვნილი) იმპორტის წლიური მაჩვენებელი. ამავდროულად, რეალური იმპორტი 12.5%-ით გაიზარდა წინა წლის იმავე თვესთან შედარებით (ამგვარი ზრდა ნაწილობრივ გაზრდილი ფასებით იყო განპირობებული). **შესაბამისად, სავაჭრო დეფიციტი წლიური 33.3%-ით გაიზარდა და 841.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა** (აღსანიშნავია, რომ 2022 წელს სავაჭრო დეფიციტი მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც ძირითადად განპირობებული იყო რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ რუსეთიდან და ბელარუსიდან გაზრდილი მიგრაციით გამოწვეული დამატებითი იმპორტით – იხ. გრაფიკი 2). *საერთო ჯამში, ვაჭრობასთან დაკავშირებულმა ცვლადებმა დადებითი გავლენა იქონია მშპ-ის ზრდის პროგნოზზე.*

<sup>1</sup> კლების მიზეზი ფასების შემცირება გახდა, რაც შეიძლება უკრაინაში რუსეთის ომსა და ომით გამოწვეულ სანქციებს უკავშირდებოდეს. გარდა ამისა, 2022 წლის დეკემბერში რუსეთმა და ევრაზიის ბაზრებმა ქართულ საქონელზე გადასახადი დააწესეს.



**გრაფიკი 2: სავაჭრო დეფიციტის დინამიკა (მლნ აშშ დოლარი)**



წყარო: საქსტატი

**ფულადი გზავნილები.** დეკემბერში ფულადი გზავნილები წლიური 133.2%-ით გაიზარდა და 535.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნულ ზრდის მაჩვენებელში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს: რუსეთის ფედერაციამ (121 პროცენტული პუნქტი), იტალიამ (7.9 პროცენტული პუნქტი), ყირგიზეთმა (2.1 პროცენტული პუნქტი) და ყაზახეთმა (0.6 პროცენტული პუნქტი). შემცირდა ფულადი გზავნილები უკრაინიდან (-3.4 პროცენტული პუნქტი). ფულადი გზავნილების ზრდის მაჩვენებელში რუსეთის წილი 59 პროცენტული პუნქტით განისაზღვრა (რაც ძირითადად რუსეთიდან შემოსულ მიგრანტებს უკავშირდება), ხოლო ევროკავშირის წვლილმა 20 პროცენტულ პუნქტს მიაღწია. საერთო ჯამში, ფულადი გზავნილების ნაკადის ზრდამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მშპ-ის ზრდის პროგნოზში.


**ტურიზმი.** დეკემბერში საერთაშორისო ვიზიტორების რიცხვი წლიური გამოთვლებით 213.9%-ით გაიზარდა, ხოლო ტურისტების რაოდენობის (ვიზიტორები, რომლებმაც 24 საათი ან მეტი გაატარეს საქართველოში) ზრდის მაჩვენებელმა 110.7%-ს მიაღწია. საერთო ჯამში, ვიზიტორებისა და ტურისტების მზარდმა რაოდენობამ, ტურისტული შემოსავლების ზომიერი ზრდის პარალელურად, პოზიტიური წვლილი შეიტანა მშპ-ის ზრდის პროგნოზებში.

**ინფლაცია.** დეკემბერში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 9.4%-ს გაუტოლდა, რაც მიზნობრივ 3%-ს მნიშვნელოვნად აღემატება. სამომხმარებლო ფასების ინდექსის (CPI) ინფლაციის დაახლოებით 4.8 პროცენტული პუნქტი საკვების უფრო მაღალმა ფასებმა განაპირობა. გარდა ამისა,



გაზრდილმა საწვავის ფასმაც დადებითი წვლილი შეიტანა (0.1 პროცენტული პუნქტი) წლიური ინფლაციის მაჩვენებელში. აღნიშნული ტენდენცია, უმეტესწილად, მსოფლიო ბაზარზე გაზრდილი საწვავის ფასების შედეგია (ევრო ბრენტის ფასი (COP) წლიური 12.8%-ით გაიზარდა). შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიმდინარე ინფლაცია მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული რუსეთისა და ბელარუსის მოქალაქეების შემოდინებასთან დაკავშირებული მოთხოვნის ზრდით. შესაბამისად, შემდეგი ორი ფაქტორი გვაძლევს ოპტიმიზმის საფუძველს ინფლაციასთან დაკავშირებით: 1) საწვავის და სურსათის ფასებმა კლება დაიწყო მას შემდეგ, რაც წლის დასაწყისში პიკს მიაღწია (იხ. გრაფიკი 3) და 2) ლარის გაცვლითი კურსი გამყარდა საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორების ვალუტებთან მიმართებით (მაგ. დეკემბერში, ლარი თვიურ ჭრილში გამყარდა: აშშ დოლართან მიმართებით 2.8%-ით, რუსულ რუბლთან – 8.3%-ით, ხოლო თურქულ ლირასთან – 1.7%-ით). ქართული ლარი თვიურ ჭრილში 2.3%-ით გაუფასურდა ევროსთან შედარებით. დეკემბერში რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (REER) თვიური მაჩვენებლით 0.6%-ით და წლიური გამოთვლებით 15.9%-ით გაიზარდა. ამავდროულად, საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი 6.8%-ს გაუტოლდა. *საერთო ჯამში, CPI-თან დაკავშირებულმა ცვლადებმა მცირედი უარყოფითი წვლილი შეიტანა მშპ-ის პროგნოზში.*

**გრაფიკი 3: Brent-ის ნავთობის ფასი (აშშ დოლარი/ბარელზე) და FAO-ის სურსათის ფასების ინდექსი (2014-2016=100)**



წყარო: [აშშ-ის ენერჯეტიკული ინფორმაციის ადმინისტრაცია](#), და [გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია \(FAO\)](#)

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. 2022 წელს საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა (FDI) დაახლოებით 2 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა (საქართველოში დაფიქსირებული ყველაზე მაღალი მაჩვენებელი), რაც 61.1%-ით აღემატება 2021 წლის მაჩვენებელს. საქსტატის თანახმად, FDI-ის ამგვარი ზრდის მიზეზი შემოსავლების რეინვესტირება გახლდათ, რაც



1.3 მილიარდ აშშ დოლარს გაუტოლდა და მთლიანი FDI-ის 64.5% შეადგინა<sup>2</sup>. გაიზარდა უძრავი ქონების (მთლიან ზრდაში მისი წილი 29.4 პროცენტული პუნქტი იყო); წყალმომარაგების, კანალიზაციის, ნარჩენების მართვისა და რემედიაციის ღონისძიებების (15.8 პროცენტული პუნქტი); ინფორმაციისა და კომუნიკაციის (11.7 პროცენტული პუნქტი); მშენებლობის (8.6 პროცენტული პუნქტი); ტრანსპორტირებისა და დასაწყობების (6.2 პროცენტული პუნქტი); ფინანსურ და სადაზღვევო (4.4 პროცენტული პუნქტი) სექტორებში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. ამავდროულად შემცირდა საბითუმო და საცალო ვაჭრობის, ავტომობილების და მოტოციკლების შეკეთების (-8.1 პროცენტული პუნქტი); ხელოვნების, გართობის და რეკრეაციასთან დაკავშირებულ სექტორებში (-4.8 პროცენტული პუნქტი) განხორციელებული ინვესტიციები. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული უახლესი ტენდენციები ამ ეტაპზე ასახული არ არის ჩვენს მოდელში.

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზირების მოდელი ახალი ეკონომიკის სკოლის მიერ შემუშავებული წამყვანი ეკონომიკური ინდიკატორების (LEI) მეთოდოლოგიის მიხედვით შეიქმნა. ჩვენ მიერ შემუშავებული მოდელი ეფუძნება დაშვებას, რომ არსებული მონაცემებიდან შესაძლებელია იმ ფაქტორების გამოკვეთა, რომლებიც ყველა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლადს (მათ შორის მშპ-საც) ასახავს, თან მშპ-ის ზრდის ოფიციალური მონაცემების გამოქვეყნებამდე მნიშვნელოვნად ადრე. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი თითოეული კვარტლისთვის ხუთ ყოველთვიურ პროგნოზს (ან 'vintage') აქვეყნებს, რომელთა სიზუსტე დროსთან ერთად იზრდება. პირველი პროგნოზი (1-ელი 'vintage'), როგორც წესი, ხელმისაწვდომია საანგარიშო კვარტლის დასრულებამდე ხუთი თვით ადრე. ბოლო პროგნოზი (მე-5 'vintage') კი მომდევნო კვარტლის პირველ თვეში ქვეყნდება.

<sup>2</sup> სააქციო კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციები გაიზარდა წლიური 226.4%-ით, შემოსავლის რეინვესტირების მაჩვენებელი კი – 67.7%-ით.